საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 12 ოქტომბერი 2016 წ.

ბრძანება №01-08/62

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-8, მე-16 და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის 04-01/35 დადგენილებით დამტკიცებული ,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების პირველი მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2014 წლის 23 სექტემბრის 04-01/02 დადგენილების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს არჩევნები დაინიშნოს 2016 წლის 9 ნოემბერს.

2. აკადემიური საბჭოს ასარჩევ წევრთა საერთო რაოდენობა განისაზღვროს 2 წევრით - სახვითი, სასცენო და კინოტელეხელოვნების ფაკულტეტიდან 1 წევრი და მუსიკის ფაკულტეტიდან 1 წევრი (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი).

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბხსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2016 წლის 24 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით 10:00 საათიდან –16:00 საათამდე (შაბათი-კვირისა და უქმე დღეების გარდა) შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქუჩა N 37. ოთახი N41.

4. ბხსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებს დაევალოთ ამომრჩეველთა სიების წარდგენა საარჩევნო კომისიაში 2016 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით (აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის N04-01/35 დადგენილების მე-19 მუხლის შესაბამისად).

5. ბრძანება განთავსდეს ბხსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ერმილე მესხია**